№ 32 13 თებერვალი, სამშაბათი 1866—1879 13 თებერვალი, სამშაბათი № 32

დროება

ᲣᲙᲔᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ახოზე—1 კაპ., —ასო-მცირეოთ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—6 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწორეს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲐᲛ. ᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗᲝᲓᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ Ბ. ᲨᲐᲓᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 33.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ: *Въ Тифлисъ Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲗᲒᲔᲠᲕᲚᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ 7 ᲛᲐᲜ.

ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ. ᲮᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲔᲘᲗᲝᲛᲪ ᲐᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲔᲛᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ. ᲑᲣᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲠᲐᲤ ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲓᲘᲡᲝ, ᲠᲐᲪ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡ ᲜᲘᲙᲝᲚᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲠᲘᲪᲙᲘᲡ ᲥᲐᲛᲘᲗ ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲐᲕᲐᲗᲐᲛ; ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲡᲞᲝᲡᲝ. ᲮᲕᲐᲚ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ ᲐᲥ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ. ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲜᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲛᲘᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲔᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲑᲐᲖᲔ. ᲛᲐᲠᲙᲘᲖ ᲡᲐᲚᲘᲡᲑᲔᲠᲘᲗᲗᲐᲜ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲨᲘ, 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲒᲠᲐᲤᲘ ᲨᲣᲐᲕᲐᲚᲝᲕᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲨᲣᲐᲚ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲔᲑᲘ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲛᲝᲡ ᲙᲐᲑᲣᲚᲘᲓᲐᲛ (ᲐᲕᲚᲐᲜᲘᲓᲐᲛ). ᲛᲐᲠᲙᲘᲖ ᲡᲐᲚᲘᲡᲑᲔᲠᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲙᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲑᲠᲙᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲜᲘᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲮᲛᲘᲐ ᲐᲕᲚᲐᲜᲘᲓᲐᲛ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲫᲛᲐ ᲫᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲝ—ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲝ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲬᲔᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ. ᲑᲐᲡᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠ ᲣᲗᲔᲡᲜᲘᲐ, ᲐᲠ ᲣᲮᲜᲐᲕᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲘ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲘᲠᲒᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲛᲨᲕᲔᲚ-ᲢᲘᲢᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲘᲔᲠ-ᲛᲬᲧᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲓᲐᲠᲩᲐᲝ.

ᲫᲕᲔᲛᲝᲗ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲒᲐᲖᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ, (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐᲪ“ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ); ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲓᲐᲛ ᲨᲔᲘᲛᲧᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲘᲜᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ ᲮᲣ-

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲘᲔᲣᲨᲕᲔᲚᲔᲗ ᲥᲝᲒᲑᲣᲚᲔᲗᲚᲔᲑᲡ.

ᲠᲝᲛ ᲑᲔᲓᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲨᲔᲜ ᲫᲛᲐᲓ ᲛᲘᲒᲐᲩᲜᲓᲔᲡ,
ᲔᲒ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ;
ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲙᲐᲪᲡ ᲘᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ,
ᲕᲘᲜᲪ ᲑᲔᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘᲐ.

ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ 1878 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲣᲪᲣᲑᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲬᲝᲚᲖᲔ ᲜᲐᲛᲥᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲭᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲦᲨᲣᲠᲘᲚᲘ.

ᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠ ᲨᲔᲢᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲣᲑᲔᲓ-ᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲪᲚᲠᲜᲐ, ᲓᲐᲪᲚᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ. ᲐᲣᲠᲐᲪᲮᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲗᲝᲤᲔᲑᲡ ᲒᲐᲭᲘᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲮᲐ-ᲙᲣᲮᲘ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲡ ᲒᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲦᲚᲘᲗᲘᲡ ᲠᲘᲡᲬᲘᲐ ᲗᲝᲗᲤᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ ᲪᲛᲐᲡ ᲬᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲧᲝᲓᲘ: — ᲐᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲩᲐᲫᲝᲠᲜᲒᲠᲐ ᲪᲐ, ᲐᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲡᲙᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲗᲥᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ!. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲚᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲩᲥᲐᲜ-ᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲘᲕᲘᲓᲤᲣᲗᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐᲡ. Ი ᲓᲐᲪᲔᲛᲝᲓᲐ ᲮᲣᲪᲣᲑᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲣᲪᲣᲑᲜᲘᲡ ᲗᲘᲗᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲫᲘᲛᲒᲘᲜᲘ ᲒᲐᲭᲥᲝᲜᲓᲐ.

* * *

ᲓᲐᲘᲚᲕᲐᲠᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ. ᲨᲔᲘᲚᲔᲑᲐ ᲬᲘᲗᲚᲐᲓ ᲥᲘᲜᲢᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ. ᲥᲐᲪᲘᲡ ᲚᲔᲨᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲣᲬᲣᲧᲔᲗᲔᲚ ᲑᲐᲬᲠᲐᲓ ᲛᲘᲢᲘᲕᲢᲘᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ.

ᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲡᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ. ᲑᲣᲚᲨᲘ ᲔᲣᲘᲥᲠᲝᲑᲓᲔ: „ᲝᲮᲔᲠᲓᲐᲛ ᲒᲕᲘᲬᲘᲐ, ᲪᲮᲝᲓᲕᲐᲛ!.. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲫᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲓᲕᲐᲛ, ᲛᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲓᲕᲐᲛ!“

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘᲜᲢᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲠᲔᲕᲐ ᲕᲔᲠᲡᲘ ᲡᲘᲒᲐᲜᲔ ᲓᲐ-ᲝᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘ ᲡᲘᲒᲫᲔ ᲛᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲒᲐᲕᲔᲠᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘ; ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲡᲘᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲗ. ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲢᲘᲢᲕᲚᲐ ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲝᲔᲧᲝᲗ ᲗᲐᲕᲘ, ᲗᲘᲗᲝᲛᲪᲗᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲐᲮᲝᲠᲑᲘᲡ ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔ ᲛᲝᲬᲛᲔᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲔᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ..

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲬᲚᲘᲧᲝ; ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲬᲐᲬᲙᲜᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲔᲮᲐᲠᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲬᲝᲚᲘᲚᲘᲧᲕᲔᲜ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲘᲥ ᲡᲣᲠᲓᲐᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲮᲠᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲪᲔᲑᲚᲐᲓ; ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲥ ᲣᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲓᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲡ, ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲧᲕᲘᲗ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲒᲐᲪᲘᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲝᲮᲐᲠᲡ.

* * *

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲡᲣᲡᲮᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲝᲓᲐ, ᲙᲘᲓᲔᲪ ᲘᲧᲘᲜᲬᲘᲗᲚᲓᲐ ᲛᲙ ᲔᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲘᲐᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲡ ᲑᲐᲛᲑᲐᲡ ᲙᲐᲠᲐᲕᲨᲘ ᲨᲔᲙᲠᲣᲜᲩᲮᲣᲚᲘ. ᲣᲮᲔᲚᲡ ᲩᲐᲛᲡ ᲓᲐᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲒᲜᲒᲠᲔᲝᲓᲐ. ᲑᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲧᲐᲚᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲚᲐᲠᲐ ᲒᲐᲒᲘᲬᲧᲝ-ᲠᲐ, ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲨᲘ ᲔᲑᲔᲠᲐᲕᲔᲓᲘᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲣᲒᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲘ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲭᲐᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲕᲔᲗᲑᲝ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲢᲧᲕᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲗᲐᲕ-ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲐ, ᲤᲔᲮ-ᲢᲘᲢᲕᲔᲚᲐ, ᲐᲗᲐᲡ ᲜᲐᲘᲠ ᲐᲙᲝᲜᲥᲘᲚᲘ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲐᲢᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲚᲖᲔᲛᲝᲗ ᲨᲔᲡᲣᲓᲠᲣᲚᲘ, ᲨᲔᲘᲚᲓᲘᲕᲘᲗ ᲬᲔᲚ-

თი ათას სულამდინ, შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებიანო, მთავრობამ ცოტაოდენი შემწეობა აღმოუჩინაო, მაგრამ ეს არ ეყოფა ამოდენა ხალხსაო და ამიტომ ხსენებული ბამგეობა მიმართავს ყველას, ვისაც რა შეუძლიან, შესწირონ ამ გაჭირებულებს.

ამის გამო ჩვენ მივმართავთ ქართველ საზოგადოებას:

„ძმა ძმისთვისაო—ამ დღისთვისაო!“ რითაც შეგვეძლება, დავეხმაროთ ჩვენს ახლად შემოერთებულ მოძმეებს! ბაჭირებას სულგრძელება უნდა. ნუ დავიზოგავთ თითო-ოროლ მანეთს, თითოოროლ თუმანს, ძველ ტანისამოსს, ხორაგს, ერთის სიტყვით ვისაც რა გვემარჯვება და რაც შეგვიძლიან. დაეხმაროთ მშიერ-ტიტველ ხალხ.!

ჩვენს დახმარებას კაცთ-მოყვარეობითი გრძნობის გარდა სხვა მნიშვნელობაც ექნება: კარგია, როცა შეიტყობენ, როცა თვით საქმით იგრძნობენ და დაინახვენ, რომ იმათ კეთილი, გაჭირების დროს დამხმარებელი ძმები ჰყოლიათ რუსეთის საქართველოში...

სრული იმედი გვაქვს, რომ კეთილ საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ჩვენი გულ-კეთილი საზოგადოება. არასოდეს არ დავიწყნია ამ საზოგადოებას თავის დიდი პოეტის მშვენიერი სიტყვები: „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა—დაკარგულია!“ ეს სიტყვები, რომელთაც ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

იმედი გვაქვს, რომ, სხვათა შორის, აქაური და ქუთათური ქართული სცენის მოყვარენიც მიიღებენ მონაწილეობას ამ ქველ საქმეში მით, რომ თითო წარმოდგენის შემოსავალს მაინც შესწირავენ დამშეულ ბათუმის ქართველებისათვის.

იმედი გვაქვს, რომ კერძო პირებიც, არა თუ თვითონ შესწირავენ შეძლებისადა-გვარად, არამედ ეცდებიან და თავის ნაცნობებში და მეგობრებში მოაგროვებენ ხელის-მოწერითა და ან სხვა რაიმე საშუალებით ფულებს ამავე მიზნით.

1873 წელს, როდესაც სიღნაღის მაზრაში შიმშილი იყო, ჩვენ ამგვარადვე მივმართეთ ჩვენს საზოგადოებას; და ჩვენი მაშინდელი მოწოდება უშაყოფოდ არ დარჩენილა: ყოველის მხრიდამ მოგვდიოდა შესაწირავი და, ცოტათ თუ ბევრად, ხალხს გაჭირებული მდგომარეობა შეუმსუბუქეთ.

ამ გვარივე თანაგრძნობის იმედი, თუ არ მომეტებულისა, გვაქვს ახლაც. „თუ არ მომეტებულისა“ იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ახლად-შემოერთებულ ხალხს ახლა ჩვენ პირველად უნდა დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ჭირშიაცა და ლხინშიაც მართლაც ძმები ვართ იმათი; იმიტომ კიდევ, რომ, თუ ჩვენთან მეზობლობით, ჩვენი ძმობით, ამ ხალხმა თავიდამვე გაჭირებაში არავითარი შემწეობა არ მიიღო ჩვენგან, უეჭველია, გადასახლდებიან, გადავლენ ოსმალეთში, და ეს ჩვენთვის სასურველი არ უნდა იყოს..

თუ ჩვენმა საზოგადოებამ ასეთი სიუხვე გამოიჩინა ბრიბოედოვის იუბილეის დროს, რალა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაში ის უფრო მომეტებულ გულ-უხვობასა და თანაგრძნობას გამოიჩენს.

ყოველი შეწირველი დარწმუნებული იყოს, რომ არც ერთი კაპეიკი იმის შესაწირავიდამ თავის მიზანს არ გადასცილდება, ყოველი კაპეიკი თავის დანიშნულებისა-და-გვარად იქნება მოხმარებული. ჩვენ გვყავს იმისთანა კაცები (არა-ჩინოვნიკები), რომელიც ყოველსავე შეწირულს კაპეიკს პირ-და-პირ გაჭირებულ სხალხს მიაწოდებენ.

შესაწირავის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“, ანუ პირ-და-პირ ბათუმში: Въ Батумъ, въ Окружное управленіе, სადაც შესაწირავს მიიღებს ბათუმის მაზრის გამგებელი თ. ბრ. ბურიელ. ბ. ბურიელ. ბ. ბურიელ. ბ. ბ. ბ

„ამასთანავე გთხოვთ—გამოგვაცხადებინოთ თქვენს გაზეთში სია იმ პირებისა, რომელნიც ინებებენ რაიმე შეწირვის გამოგზავნას, და ვითხოვთ აგრეთვე რომ ეს შენიშნვა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.“

ბათუმის სამაზრო ბამგეობა.

ქალაქის რჩევის სხდომა

11 თებერვალს

ბუშინწინ, გვირა დილას, კიდევ ქალაქის თავის ასარჩევად შეიკრიბა ჩვენი ქალაქის რჩევა, მაგრამ კიდევ ვერ აარჩიეს. სულ 56 ხმოვანი დაესწრო ამ კრებაზე; თავსმჯდომარედ იყო უფ. დ. ი. ყიფიანი.

სხდომის გახსნისა-თანავე უფ. ხმოვანმა ლ. კ. ელიმირზოვმა ითხოვა სიტყვის უფლება და სთქვა, რომ თავსმჯდომარემ დანიშნოს რამდენიმე კერძო კრებები, რომელზედაც ხმოვანებს შეეძლებათ კარგათ, დალაგებით მოლაპარაკება ქალაქის თავის არჩევაზედ და საზოგადოთ ყველაფერზე, რაც ამ საქმეს უშლისო. როდესაც კერძოთ მოვილაპარაკებთ და დავთანხმდებით, მერე უფრო ადვილად შეგვეძლება ერთს ვინმეზედ გავჩერდეთ და ის ამოვირჩიოთ ქალაქის თავათაო. ამის გამო უფ. ელიმირზოვმა შემოიტანა წინადადება, რომ დღესვე ქალაქის თავის არჩევას ნუ შეუდგებითო.

უფ. ყიფიანმა ამის პასუხად სრულიად საფუძვლიანად სთქვა, რომ კენჭის-ყრის გადადება რჩევის საქმეაო, და რაც შეეხება იმას, რომ მე კერძო სხდომები დავნიშნო ქალაქის თავის ამორჩევაზე მოსალაპარაკებლად, კანონი ამის ნებას არ მაძლევსო, ესეც ხმოვანების საქმეაო.

უფ. ხმოვანმა იოჩესიანმა უფ. ელიმირზოვის პასუხად სთქვა, რომ ამ გვარი კერძო სხდომები წინეთაც გვქონდაო, მაგრამ არა გამოვიდა-რო.

შემდეგ ილაპარაკეს უფ. ივანგულოვმა, სუნდუკიანცმა, ზარაფოვმა, ნიკოლაძემ, ხარაზოვმა, აბიროვმა და სხვებმა. ბარდა ამიროვისა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ქალაქის თავის ამორჩევა გადავდოთო; მხოლოდ ვადაზე არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: ერთი ამტკიცებდა, ერთ თვეს, მეოთხე ამტკიცებდა, ვადას ნუ დავნიშნავთ, ჯერ უპრავის ახალი წესდება შევადგინოთ და მერე შეუდგეთ თავის ამორჩევასაო.

ყველა ამ ოთხ წინადადებას უყარეს კენჭი, (ადგომ-დაჯდომით), მაგრამ რჩევამ არც ერთი არ მიიღო.

ამის შემდეგ წამოდგა თავსმჯდომარე უფ. ყიფიანი და გამოაცხადა, რომ დღევანდელს სხდომაზე ჩვენ ვერაფერს ვერ გავარკვევთ, მომავალ კვირას შეეყარნეთ ისევ ამავე საგნისთვისაო.

ამნაირად ახალი თავის ამოირჩევა თუ არა, ამ ამორჩევაზე ლაპარაკი მაინც კიდევ იქნება მომავალ კვირას, 18 თებერვალს.

დღიური

*** იმ „ერთ-დღიურ აღწერიდამ“ რომელიც 1876 წელს მოახდინეს ქალაქში, აღმოჩნდა, რომ თბილისში ცხოვრობს სულ 91,668 სულ (ჯარებს გარდა); ამათში 53,791 მამრობრივი სქესისა და 37,877 დედრობრივისა.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქალაქის ექიმს უფ. ბახუტოვს დაუჭერია ბაზარში 6 ფურგული დამპალი თევზით სავსეო. ეს თევზი იმ წამსვე წაუღიათ პოლიციაში, რომელსაც კიდეც დაუწვავს ეს გაფუჭებული თევზი.

*** იმ შენიშნვების თაობაზედ, რომელნიც ამას წინათ იყვნენ „დროებაში“ დაბეჭდილი და რომელნიც შეეხებოდნენ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სასულიერო სემინარიის შავგირდები ცუდი საჭმლისაგან ავათ ხდებიანთ, გაზეთს „ალეკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა:

„1879 წელს 3 თებერვალს, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი: სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი აბრამი, ინსპექტორი სემინარიისა ივ. ძუშინსკი, მასწავლებელი ივ. ბორტინსკი, პროტოიერეი ბრ. პავლიეი და სემინარიის ექიმი ნიკ. სობოლსჩიკოვი ეიყავით სემინარიის სარდაფში, შევამოწმეთ ყოველივე იქაური ხორაგეული და ვნახეთ, რომ: ფქვილი, ლობიო, ბრინჯი, კარტოფილი, კომბოსტო, გამომცხვარი პური, სამზარეულოდამ მოტანილი ძროხის ხორცი და ცხვრის ხორცი—ყველაფერი სრულიად კარგის თვისებისანი არიან და არც ერთი ეს საგანი არ არის არც დაძველებული და არც აყროლებული.

„ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ხორაგი ადრეც ყოველთვის ახალი და გაუფუჭებელი მიგვიღია და თუ სიძველე შეგვინიშნავს ამ ხორაგისა, იმწამსვე უკან დაგვიბრუნებია. ამ ნაირად ჩვენ შეუბრუნეთ სემინარიის პოდრიადჩიკს ძროხის ხორცი იანვრის 9-ს, 13, 16, 20 და 25-ს და თებერვლის 1-სა და 3-ს.

„ამის გამო არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავათმყოფობა (?) შავგირდის თოფურიასი წარმომდგარიყოს ცუდის საჭმელის გამო“.

ასე იმართლებენ თავს ჩვენი სასულიერო სემინარიის უფროსები. მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო ამაში ის არის, რომ ხორცი და სხვა ხორაგი სემინარიაში შეუმოწმებიათ იმ პირებს და აქტიც სწორეთ იმ პირებს შეუდგენიათ, რომელთაც ბრალი ედებათ, რომ ისინი ცუდ საჭმელს, აძლევენ სემინარიელებ-

---

ქოს საჩქარო ფაცა-ფუცში საქალებო ოთახიდან გამოტანა ველარ მოესწროთ, დერეფანში დაემტვრიათ, ბავშვი აკვნიდან ამოეგლიჯათ, არტაშნები კი კიდევ იქვე ეყარა.

ბარეთ გამოვედით, ტრიამელს ბაკეში (ეზოში) თითქოს განზრახ წრე იყო შემოვლებული ნათოვლავში; დავაკვირდით, გამოჩნდა სულ ახალი მოჩეხილი ბროწეულის ხეების ნაყარი. როგორც ეტყობოდა, ეზოს (ბაკეს) გარშემო ბროწეულის ღობე ჰქონიყო შემოვლებული, იმათ ტოტები ერთმანეთში ჰქონდათ გაბანდული, ისე რომ ცოცხალი ხეების ღობე ქვით-კირის ყორეზე უფრო იცავდა ეზოს. იმის ახალ ნახეთქებში და გაბანდულს ტოტებში ჩიტიც ვერ გაძერებოდა.

—აბა, ეს რაღა საცოდაობა მომხდარა, თქვა ბრ. ბურიელმა. ბროწეული ხომ არც შეშათ არც ხეებათ, არ გამოდგებოდა! ეს მშვენიერი შემოღობილი მაინც ძირში რათ დაუჭრიათ, ვინ ყოფილა ასეთი ულვთოა; განა ტყე კი ცოტა იყო რომ ხეხილები: კაკალი, სხალი ვაშლი, ზეთის-ხილი, ქლიავი და ვაზი სული არ დაეჭრათ? ბანა კიდევ გაგონილა სადმე ამისთანა გაოხრება?

იქვე ახლოს ორი დამუგუზლებული საძირკველის ნამწვი ენახეთ და ჩაშავებული, ჩანაცრებული სიმინდის კაკლები. ეტყობოდა სახლ-კარი ჭირნახულიანა გადაეწვათ.

***

ამგვარათ ჩაბარდა ჩვენს ჯარს მთელი ქობულეთის მაზრა მოტლეკილი. ტყე მოჭრილი, სოფლები გადამწვარი, ქვეყანა სულერთიანათ დანგრეული.

ამ ქვეყნის ხალხი კი, ხუთი ათას სახლობამდის ომის დროს კლდე-ღრეებში და უცხო ქვეყნებში შეხიზნული, დაბრუნდა თავიანთ ქვეყანაში.

იქ რა დაუხვდათ?—ცა ქუდათ, დედამიწა ქალამნათ! მათთვის არც სახლი, არც კარი, არც პური, არც ღვინო, არც ტანი, არც ფეხი.

უბედურმა ომიანობამ მიაყენა მათ ეს მდგომარეობა.

***

ქართველებო, აბა ახლა თქვენ იცით. ბოლოს ბედმა მოგვხედა. ჩვენი დიდი ხნის დაკარგული ძმები ისევ ცოცხლები დაგვიბრუნდენ; მაგრამ დაგვიბრუნდენ მშიერ ტიტვლები.

ღღეს ისინი არიან დედამშობილათ; გაჭირვებულნი, უსახლკარო. აწ თქვენზეა დამოკიდებული თქვენივე ზურგის გამაგრება. უჩვენეთ მხურვალე თანაგრძნობა, გაუმართეთ ხელი ამ გარემოებით შევიწროებულს ახალ შეძენილს მოძმეებს. დაანახვეთ გულშემატკივრობა, მხურვალე ნათესაობრივი გული, რომ იმათს გამწარებულს გადმოღიაღებულს მკერდში ისევ დაინთოს დიდიხნის ჩაძქრალი თქვენდამი სიყვარულის ლამპარი; გაუწიეთ ისეთი მეზობლობა, რომ აფიქრებინოთ: სხვებთან ლხინს ისევ თქვენთან ჭირი გვირჩევნიაო.

ნამეტურ ამ ჟამათ არის ეს საჭირო, როგორც თქვენთვის, ისე იმათთვის.

უხვი ახსნილსა დაბამს;
იგი თვით ვბის, ვინ ების;
უხვად გასცემდით: ზღვაოაცა
შესდის და გაედინების.

ბ. წერეთელი.

საო და ცუდათ ინახვენ იმათაო!

ერთი მითხარით—ვინ სთქვა, დედა ჩემი კუდიანიაო?!.

ამ მოკლე ხანში ჩვენ დავბეჭდავთ დოკუმენტებს, რომელნიც ცხადათ დაამტკიცებენ და ყველას დაარწმუნებენ ჩვენს არა-ერთხელ ნათქვამში: რომ ჩვენი სემინარიის შაგირდები მართლა მხოლოთ იმიტომ ხდებიან ავათა და იხოცებიან, რომ იმათ ცუდათ ინახვენ, ცუდათ არ-ჩენენ.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 7-ს ყოფილა სხდომა იქაური ქალაქის რჩევისა ოომელზედაც წაუკითხავთ უმაღლესი მთავრობის დამტკიცება ქალაქის თავად უფალის ლუკა ასათიანისა; ახალ ქალაქის თავს იმავე სხდომაზე მიუღია ფიცი. ამავე დღეს კრებას აღმოურჩევია აგრეთვე ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელად უფ. ივ. ჯაიანი 27 ხმით წინააღმდეგ 2 ხმისა.

*** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ასტრახნის ქვეშისაგან აქაური ხალხი, განსაკუთრებით ეჭრები ძალიან დაფთხობილაო.

ამავე გაზეთის სატყვით, ფუთი ნევთი ბაქოში ამ ქამად 3 კაპეიკად ისყიდება.

განცხადებანი

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ბ ო ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ოორი აბაზი

(3—1)

ბამოკვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

(5—1)

ქუთაისის ღუბერნიის აზნაურების წინამძღოლელი, საფუძველსა ზედა 82 მუხლის მეცხრის ტომისა, აუწყებსთ ყოველთა აზნაურთა ქუთაისის ღუბერნიისა, რომელ მომავალს მაისის თვეში გაიხსნება ქუთაისში ჩვეულებრივი ღუბერნიის შეკრებილება.

(3—3)

რუსის ჩაის ვაჭრობისაგან

ახლად მიღებულია საუკეთესო **ფუჩუანის ჩაი** 10,000 გირვანქა.

ფასი გირვანქა ჩაისა 1 მან. და 20 კაპეიკიდამ 8 მანეთამდინ. მე მიეიღე ჩემი მუშტრებისაგან ფუჩუანის ჩაისთვის ბევრი მადლობა წერილით. იმედი მაქვს, რომ მომავალი ჩემი მუშტრები კიდეე უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

შეიძლება გირვანქობით ყიდვა და ნარდათაც. მაღაზია კისრულობს თავის ხარჯით გაგზავნოს ფოჩტითა.

ადრესი მაღაზიისა: მიხაილოვის ხიდი, მირზოვის სახლი, „კავკაზიის“ რედაქციის ქვემოთ.

ვაჭარი ა. პოლოსუხინი.

ადრინდელი რესტორანი „თ ფ ი ლ ი ს ი“ და ახლა „კოლხიდა“ - რომელიც იმყოფება დვორეოვის ქუჩაზე, სარაჯევის სახლებში, შესავალი ეზოდამ, მეორე კიბე, უცხადებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ რესტორანში იმყოფება ყოველგვარი საჭმელები კარგი პროვეიზიისა და აგრეთვე შეიძლება მუდამ თვეობით გაეგზავნოს მსურველსა შინ კარტოჩკით ან აქვე სჭამოს უფროიაფად, ვინემ სხვა სასტუმროებში.

ამავე რესტორანში მზადდება ახლა **ბლინები** და დიდმარხვაში მოამზადებენ სამარხო საჭმელებს. 9 საათიდამ დილისა არის ცხელი პიროჟკები.

იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება კმაყოფილი დარჩება.

(2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, მული და მაშენიკები“**—თ ფ ი ლ ი ს ში: ბრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბ ი ო რ გ ი ბ ა რ ა თ ო ვ ი თ ა ნ, ბ ო ო რ შ ი: ზ ა ქ ა რ ი ა დ ო ნ დ ა ო ო ვ ი თ ა ნ, ც ხ ი ნ ვ ა ლ ი შ ი: თ. ვ ა ნ ო ა თ ა ქ ო ვ ი თ ა ნ, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნ ი კ ო ლ ა ი ა ს ა მ ე ს წ ი ნ ს მ ე ჯ ვ ა რ ი ს ხ ვ ე ვ ს: მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი მ ო ს ე ნ ა თ ა ძ ე ს თ ა ნ, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მ ე ს ხ ს ი წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი ა ნ დ ა დ. ბ ო კ ე რ ი ა ს თ ა ნ, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: ი ო რ დ ა ნ ე ს ი ხ ა რ ო ლ ი ძ ე ს თ ა ნ, ფ ო ტ ი ში, ე ლ ი ზ ბ ა რ ბ ა ბ ა ლ ო ვ თ ა ნ.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**

უფ. ბიბო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირი ახალი ძართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვეეით დუქნებში. ბარემე პირეს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

რკ. გზა.	ბილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	51			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტ-ედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3		1	69
ყვ ირილა .	1	18	ღამე-		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოლ ი სიტყვა თ ფილ ისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვ	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	*
იტალიაში და ს ფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თ ფ ლ ი ს ი ს ა და ფ ო ტ ი ს კ ე ნ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ ა რ ა ს კ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ერ ი ა წ ი გ ნ ი ს	4
დ ბ ე ჭ დ ი ლ ი ს (ხ ა ნ ი მ ი ს ხ ა ლ ი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თ ფ ი ლ ი ს ი, 7 თ ებ ერ ვ.		
ფ ქ ვ. თ ვ ი. ბ ა ნ ჯ ი ს ა, ფ ო ტ.	1	60
ფ ქ ვ ი ლ ი ფ ი თ ე ლ ი . . .	1	15
ქ ე რ ი ფ უ თ ი	1	20
ბ ა მ ბ ა ე რ ე ვ ი ს ა, ფ უ თ ი .	7	40
— ა მ ე რ ი კ ი ს ა ა, ფ უ თ ი . .	8	50
ბ ა პ ე ნ ტ ი ლ ი ბ ა მ ბ ა ფ უ თ ი.	9	60
მ ა ტ ყ ლ ი თ უ შ უ რ ი ფ უ თ ი	6	60
— თ ა ო ა ქ ა ბ ი ს ა ფ უ თ ი . .	4	40
ა ბ რ ე შ უ მ ი ნ უ ხ უ ხ ი ს ტ .	2	10
ქ ო ნ ი, ფ უ თ ი	4	80
ქ ო ნ ი ს ნ ა ნ თ ლ ი ფ უ თ ი .	7	40
ს ტ ე ა რ ი ნ ი ს ს ნ თ ე ლ ი, ფ ო ტ.	12	70
ხ ო ო ც ი ძ ო ხ ი ს ა, ლ ი ტ.	1	8
— ც ხ ვ რ ი ს ა, ლ ი ტ ო ა . .	1	8
ს პ ი რ ტ ი ვ ე დ ო ო	4	50
შ ა ქ ა ო ი, ბ ო ო ც: ფ უ თ ი .	7	30
— ფ ხ ვ ნ ი ლ ი ფ უ თ ი . . .	5	40
ყ ა ვ ა. გ ო ბ ვ ე ლ ი, გ ი ო ვ . .	—	70
ხ ე თ ი ქ უ ნ ჯ უ თ ი ს ა ფ უ ო ი	12	30
თ ა ო ბ ბ ა ქ ო, ს ა ბ უ ლ ო ფ ო ტ.	6	80

თფილისის სამკურნალო.
ერევნ ს მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.
ო რ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ ო ი შ ვ ი ა ნ ბ ა ლ ა ლ ვ ე ბ ი ი ნ — შ ი ნ ა გ. ა ვ ა თ., ქ ი ნ ი ნ ი ა ნ ც — ს ა ჯ ა ო ო ე ქ ი მ ი ა ნ ს ა ვ ი ლ ო ს ო პ ე ო ა ც ი ე ბ ი.
ს ა ბ ბ ა თ ს: ვ ე ო ო ი შ ვ ი ა ნ — შ ი ნ ა გ. ა. ბ ხ უ ტ ო ვ ი ა ნ — ს ა ბ ე ბ ი ო ო ბ ა ბ ა ვ ვ ი ს, პ ე ო ნ ო ვ ი ა ნ — თ ვ ა ლ ი ს.
ო ო ნ ბ ბ ა თ ი: ვ ე ო ბ ბ ბ ვ ი ა ნ ბ ი ნ ა ბ ა ნ ი.
ხ უ თ ბ ბ ა ბ ა თ ს: ვ ე ო ბ ბ ბ ვ ი ა ნ — ბ ი ნ ა ბ., ქ ი ნ ბ ბ ბ ბ ა ნ ბ ი — ი ფ ი ლ ი ტ ი ბ ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესიდან სიტყვა ყვირილიდამ გაგზავნილ კორრესპონდენციაზე, რომელიც „ობზორის“ მე № 347-ში იყო დაბეჭდილი.

„ობზორის მე-№ 347-ში იყო ერთი კორრესპონდენცია ყვირილიდამ გაგზავნილი, დაწერილი უ. ეფიმოვსკისაგან, რომელშიაც იყო მოყვანილი შემდეგი ამბავი:

მითომც მე უჩივოდი ვიღაცა გლეხებს შორაპნის მომრიგებელ სასამართლოში ღობის დაქცევის თაობაზე; გლეხები თუმცა გამოტყდნენ და აღიარეს თავისი დანაშაულობა და დაჩოქილნი მთხოვდნენ პატიობას, და მასთან ვითომც მომრიგებელმა მოსამართლემაც ბევრი მთხოვა მეპატიებია მათთვის ეს შეცდომა, მაგრამ მე მაინც მოვითხოვე მათი დასჯა, რომლისათვისაც მოსამართლემ ისინი დაშტრაფა ხაზინის სასარგებლოდ 10 მანეთით, და სამი მანეთი გადუწყდათ გადასახდელად ჩემდა სასარგებლოდ. ბოლოს ვითომც მე გარდავახდევინე გლეხებს შტრაფიც და ზარალიც, მხოლოდ რამდენიმე კაპეიკი დაუკელი; წაეედი და სუდში საქმე მოვსპე.

მეორე დროს ვითომც მე დავიპირე ეკკლესიაში ერთი ღარიბი ქალი და კაცი, ყვირილაში მცხოვრებნი, რომელთაც გვირგვინის კურთხევა ჰსურდათ; რომ შემოვიდნენ ეკკლესიაში, მე დაუწყე მათ ვაჭრობა. პირველად მოვთხოვე მათ გვირგვინის საკურთხად 25 მ., იმათ მაძლიეს 10 მანეთი და ერთ დაპატიჟებასაც დამპირდნენ, მაგრამ მე არ შევასრულე გვირგვინის კურთხევა, თუმც ისინი ტირილით მთხოვდნენ 10 მ. დავჯერებოდი. მე კაპეიკიც არ დაუკელი. ეს საწყლები იძულებულნი იყვნენ ქუთაისში წასულიყვნენ იმ ღამესვე, სადაც კიდევაც უკურთხა ერთმა პატიოსანმა მღვდელმა გვირგვინი!

რომ პირველი ბრალდებულება კორრესპონდენტისა აშკარა სიცრუე იყო და გამოგონება, მე დაუმტკიცე ეს „ობზორის“ მკითხველებს ჩემი წერილით, რომელიც იყო დაბეჭდილი „ობზორის“ № 360-ში.

რაიცა შეეხება მეორე ბრალდებულებას ეს იყო სრულებით გამოგონილი და აშკარა ცილისწამება. ამისათვის მე მოვსთხოვე უ. კორრესპონდენტს დამტკიცება თავისი უსინიდისო გამოგონებული ამბისა, ესთხოვე მასთან გამოეცხადებინა სასიძოს და სასძლოს სახელიბი; აგრეთვე ეჩვენებინა დრო—თუ როდეს მოხდა ეს ამბავი. ეს მოვსთხოვე მას 13 იანვარს. დღეს თავდება ერთი თვე, მაგრამ კორრესპონდენტისაგან არავითარი პასუხი არა არის-რა გაზეთს „ობზორში“ ჩემს კითხვაზე დღემდისინ. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მისგან ვერასოდეს პასუხს ვერ მივიღებ ჩემს კითხვაზე... ამისთვის, რომ ამის მსგავსი სრულებით არაფერი არა ყოფილა-რა არასოდეს არც ყვირილის და არც სხვა ეკკლესიაში.

ყველა მკითხავს: მაშ რამ აიძულა კორრესპონდენტი, რომ ამისთანა სიცრუე მომიგონა მე? აი ამ კითხვის მიგების ამბავია ძლიერ საინტერესო საზოგადოებისთვის და იმედი მაქვს, უ. რედაქტორო, მომცემთ ნებას ამ ამბის გამოაშკარებისას, „დროებაში“, რადგან რუსული გაზეთი „ობზორი“ დღეს აღარ გამოდის.

კარგად იციან ყველა ქართული და რუსული გაზეთების მკითხველთა, რომ შორაპნის მაზრიდამ ბევრი რამე საინტერესო და შესანიშნავი, რასაკვირველია, ცუდის ამბებით, კორრესპონდენციები იწერება. აჰ კორრესპონდენციებში ხანდისხან დიდ უწესოებას მოგვითხრობენ ზოგიერთ პირებისას. ზოგიერთი პირები, რომელთაც კორრესპონდენციები შეეხება ხოლმე, არიან თავისთვინ სოფელში; ხმას არ იღებენ; მათ იციან კარგად როდეს არის სადილობის დრო და როდეს ვახშმობისა. რა იწერება გაზეთებში იმათ ფეხებზე ჰკიდიათ, სულაც არ ფიქრობენ მაზე! მაგრამ ზოგიერთები, როგორც მაგალითებრ უ. ეფიმოვსკი და მისი კამპ., როდესაც რაიმე კორრესპონდენციას წაიკითხვენ გაზეთებში შორაპნიდან გაგზავნილს, გაგიჟდებიან და არ იციან რა ქნან. იმას ხომ არ დაეძებენ—ამ კორრესპონდენციებში სწერია რამე თუ არა მათ შესახებ? რაც უნდა იყოს დაწერილი, მათთვის სულ ერთია. შეიქნება ერთი ძიება—ვინ არის დამწერი კორრესპონდენციისა? შიშისათვის კორრესპონდენტები ხელს არ აწერენ და თუ მივარდა საქმე მათ კითხვაზე, ხშირად ხელს სხვა პირებზე მიუთითებენ ხოლმე.

იმათ კისერიც მოუტეხიათ, თქვენ რას დაეძებთო, შეტყვით ვიცი. საქმეც ეს არის, რომ მაინც და მაინც უ. ეფიმოვსკის და მის კამპ. გამოეყავარ მე ყველა შორაპნის მაზრიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენციების ავტორად. თქვენც კარგად იცით, უფ. რედაქტორო, რომ ზოგიერთი კორრესპონდენციების ავტორიც არ ვიცი ვინ არის. მაგრამ ამითი როგორ დააჯერებ უ. ეფიმოვსკის და მისთანა ჰაზრის მექონ პირებს?...

1874 წელში უ. ეფიმოვსკი გიჟივით მომვარდა და გამლანძღა უშვერის სიტყვებით. ცოტა აკლდა ხელით შემეხო. ბაკვირვებული ვიდექი და ვისმენდი მის ლანძღვას. მეტს რას ვიზამდი. როდესაც ტაცხრა, ეკითხე ასე მხეცურად მოქცევის მიზეზი და აი რა მითხრა:

„—შენ როგორ გაბედე „დროებაში“ დაწერა იმისი, რომ მე ხაზინის მოპარული ფულებით და ქრთამით ამეშენებოის ჩემი სახლი?! რათ დამლუპე? ამისთანა ამბავი როგორ დამიწერე? ანუ რედაქტორმა როგორ გაბედა ამისი დაწერა? მე ვაჩვენებ იმას?“

მე გამეცინა.—სად წაიკითხეთ ამისთანა ამბავი? ვკითხე უ. ეფიმოვსკის.—ამბობენ რომ არის დაწერილიო, მითხრა იმან. როდესაც დაუმტკიცე აშკარად, რომ ამისთანა ამბავი სრულებით არც მე და არც სხვას არც ერთ გაზეთში არასოდეს არ დაბეჭდა, მერე ბოდიში მოითხოვა წერით და საზოგადოებაშიც. მაგრამ რალა დროს?.. წერილით აღიარა იმან, რომ ამისთანა შეცდომაში ხშირად ვარდება ხოლმე და ითხოვდა ჩემგან მოტევებას. რა გაეწყობოდა, მეც ვაპატივე...

ეს სულ ტყუვილი მოგონებული ამბავი იყო უ. ეფიმოვსკიზე არა კეთილ პირებთაგან. მაგრამ სხვა კი ბევრი რამ ყოფილა ხოლმე კორრესპონდენციებში ნათქვამი, რომელნიც პასუხის-გაცემას ითხოვდნენ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.

ერთი კორრესპონდენტი იწერებოდა: ყაზახები გლეხებს დაეცნენ და ცხვრები მოტაცესო; შეატყობინეს ვისიც რიგი იყო; იმან მიიღო ზომები და წანართმევი სახლის გაჩხრეკის დროს პოლის ქვეშ ნახესო, მაგრამ დამნაშავენი არ დასჯილანო. მეორე სწერდა: ერთმა კაცმა ერთ ჩინოვნიკს სახელმწიფო ფული 1,000 მანეთამდე მოჰპარაო. ბაიგო ყველამ, უმფროსმაც შეიტყოვო; ფულები ამოიგო; მაგრამ საქმე მორიგებით გაათავესო. მესამე ამბობდა: ერთი უმფროსი ბრალიანს და უბრალოს აგინებს და ყბებს ამტვრევესო და თუ ვინმე ჩივილი გაბედა მაღალ მთავრობასთან, მრთელ საზოგადოებას აბეზღებს, „ბუნტოვ ჩიკებად“ და „კლიაუზნიკებად“ ხდისო. მეოთხე, გლეხებს შეშებს აზიდვინებენ მუქთად და ეუბნებიან, კანონით თქვენ ვალდებულნი ხართო; და

ამისთანა კიდევ რამოდენი იყო ხოლმე დაბეჭდილი... საზოგადოება მოუთმენელად მოელოდა და მოელის ამ ხმების გამტყუენებას.

რა არის იმაზე უადვილესი, რომ ეს ხმები, თუ მართალი არ არის, კაცმა გაამტყუნოს. ამისთვინ—ნახევარი ფურცელი ქაღალდი არის საკმაო და ნახევარი საათის დრო!...

რამდენჯერ მითქვამს მე მათთვის: „ბატონო, რათ წყრებით? რაზედ ლანძღავთ ან რედაქტორს, ანუ კორრესპონდენტს? ის არ სჯობია კორრესპონდენციაზე დაწეროთ რამე, გაამტყუნოთ და ჭეშმარიტება აღადგინოთ? თუ ამით არ დაკმაყოფილდებით, მოითხოვეთ რედაქტორისაგან მოგცესთ კორრესპონდენტი და თუ არ მოგცესთ უჩიენლეთ თვით რედაქტორს ცილის-წამებისათვის და მიეცით პასუხის-გებაში.“

მაგრამ, საუბედუროთ, ამას ვერ ბედვენ. ალბათ არ ეგულებათ თავის თავი მართლად. ზოგმა სცადა თავის გამართლება, მაგრამ გამართლების მაგიერათ უმფრო გაიმტყუნა თავი. ეკონებ ამათთანა პირებზე არის ნათქვამი პავლე მოციქულისაგან: „რამეთუ რა იგი ფარულად იქმნების, მათ მიერ საძაგელ არს სიტყვად-ცა.“ (ეფ. ე. იბ.).

ამათ სხვა ღონე და ხერხი უფრო ეადვილებათ. ეს ღონე და ხერხი გახლავსთ მათი უსინიდისო ცილის-წამება, დაბეზღება და სხვა-და-სხვა ოსტატური ინსინუაციები. ასე გაშინჯეთ, რომ ზოგიერთები ამისთანა დაბეზღებისა და ინსინუაციების გამოსათქმელად გაზეთებშიაც კი შოულობენ ადგილს. ყველამ იცის თუ როგორ იყო „ᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ“ მე-№№ 264, 270 აქოთებული ამისთანა ინსინუაციებით და დაბეზღებებით სავსე წერილებისაგან შორაპნის მაზრიდამ. ყველაზე სასაცილო ამ წერილებში იყო ის, რომ ავტორი წერილებისა მართლულობდა თავს იმისთანა ბრალდებულებაში, რომელშიაც არასოდეს არავის არცერთში არ გაუტყუნებია ის.

როდესაც ამისთანა დანოსებით სავსე წერილების დაბეჭდაზე უარი ეთქვათ რედაქტორებისაგან, სხვანაირი საშვალება გამოიგონეს. აი რა: ერთი მიდის სასულიერო მთავრობასთან და რას არ ბოდავს: „ის კაცი ამისთანაა, იმისთანაა, შენ გაგინია, ის გალანძღაო, ღმერთზე გმობა თქვაო, თავის თავს ლიბერალად რაცხსო,—ერთი სიტყვით აღარავინ ჩაგდოვო, მთელი საზოგადოება გადაიმტერაო, სახალხო განათლებაზედ სტატიები დაწერაო, როდესაც მოციქულების კანონით მღვდელს არა აქვს უფლება სახალხო განათლებაზე ხმა ამოიღოსო!“

მეორე მიდის მეორე უფროსთან და უსინიდისოთ გამოუაეს კაცი გულით მოწადინე ხალხის განათლებისა წინაღმდეგად ამისა. რისთვის? იმისთვის, რომ ამ კაცმა გაბედა შკოლების უწესო მდგომარეობის გამოაშკარება; უჩვენა მიზეზი ხალხის განათლების საქმის დაბრკოლებისა...

მოთალი ნათქვამი არის საღმრთო წერილში, თუ ამხილე ბრძენს—შეგიყვაროსო; ამხილე უგუნურს—შეგიძულოსო. ამაზე უგუნურობა მეტი იქნება? კაცმა რამე სთქვა. ტყუილია?—გაამტყუნე. თუ მართალია, რათ მოგდის გული? რაზედ გიქდები? რათ იძულებ ამისთვის კაცს? ალბათ მისთვის, რომ უგნური ხარ და სულელი. შენ სტყუვი ყველა დაბეზღებაში. მრთელ საზოგადოებაში შენ და ხუთი შენისთანა ჰაზრის მქონე პირები არიან ჩემი მოძდურავ და მრთელი საზოგადოების აზრი ჩემკენ არის...

როდესაც ველარ გაჭრა ამისთანა უკბილო მათმა დაბეზღებამ, ეხლა უკანასკნელ სხვა ღონეს მიყვეს ხელი. ეს ღონე გახლავსთ ის, რომ გამოიგონონ რამე სიცრუე, ვითომც კაცის პატიოსანი სახელის დამამდაბლებელი და დაბეჭდონ გაზეთში. თუ თავის სახელით არ გაგზავნონ, მოიყიდონ ვინმე უსინიდისო პირი და მათ გაგზავნინონ ის, რაც ამისთანა მოყიდულთა პირთა სრულებით არ იციან, თუ რას აგზავნიან გაზეთში დასაბეჭდათ.

ამისთანა კორრესპონდენციების დასაბეჭდათ მათ გამოირჩიეს გაზეთი „ᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘ“. ამ პირველ შემთხვევაში მათი შრომა დაგვირგვინდა ᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ მე-№ 347-ში დაბეჭდილი ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲓᲐᲛ გამოგზავნილი კორრესპონდენციითა!... რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ ამისთანა კაცზე? რისი ღირსია ის კაცი, რომელიც ასე ტყუილს მოუგონებს კაცს, მისთანა კაცს რომელსაც მისთვის არაფერი არ დაუშავებია-რა გარდა შემწეობის აღმოჩენისა გაჭირვების დროს? ამის გადაწყვეტა მიძინდია მკითხველისთვის.

დარწმუნდით, უ. კორრესპონდენტო, მე არსად გიჩივლებ თქვენ ამისთანა ცილის-წამებისათვის. მე არ წავალ შენს ნაჩალნიკთან და არ ვეტყვი, ის ამისთანაა და იმისთანა-მეთქი. არ შეგწამებ უღმერთობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამისთანა ცილის-წამებით ჩემ სახელს ვერ დაამდაბლებ. თუ მე დამნაშავე არა ვარ, შენი ცილის-წამებით მე ვერას დამაკლებ, რასაც შენს თავს არ დაამდაბლებ. აბა ყოჩაღი მაშინ იქნები, თუ შენი დაწერილი კორრესპონდენციის ერთ სიტყვას დაამტკიცებ? რა ხანია მოგეცი კითხვა, რატომ არ იძლეევით პასუხს? ეხლა ხომ ყველამ შეიტყო, რომ შენ მტერობით ტყუვილი მომიგონე. ეხლა ხომ აღარაფერს დაგიჯერებენ ვისთანაც მაბეზღებდი ხოლმე!

აი ასე უნდა მოიქცეთ თქვენც, როდესაც რამეს წერდენ თქვენზედ. ზაგიქება და ჭკუიდან გამოსვლა რა პატიოსნება არის? მხილება ეწყინება მარტო უგუნურს და არა ჭკუიანს...

მე ვფიქრობ, რომ თქვენ თქვენმა სინიდისმაც უნდა დაგსაჯოს, მე რომ არ გიჩივლო ამისთანა ცილის-მოხდისა და უშვერი სიტყვით გალანძღვისათვის. ვფიქრობ, რომ თქვენმა სინიდისმა უნდა დაგიკავოს შემდეგში ამისთანა ცილის-წამებისაგან. მაგრამ თუ შევნიშნე შემდეგშიაც თქვენში ლტოლვილება ამისთანა საძაგელი ცილის-წამებისადმი, მაშინ იძულებული ვიქნები მოგეპყრო თქვენ და თქვენს კამპ. კანონისამებრ, როგორც ცილის-მწამებელს.

ამასთან ვითხოვ „ᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ“ რედაქციისაგან, როცა გაზეთი გამოვიდეს, გამოაცხადოს თავის გაზეთში უსაფუძვლობა და უმართლობა ზემოთქმულის უვირილიდან გამოგზავნილის კორრესპონდენციისა, რადგან ამ გამოგონებული კორრესპონდენციით ტყულა-უბრალოთ ბრალი მედება იმისთანა საქმეში, რომელშიაც სრულებით დამნაშავე არა ვარ. ვგონებ ამით გაზეთი თავის ღირსებას არ დაამდაბლებს.

ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ
 Დ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Февраля 1879 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.